ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8086948

ნომერი: AR11160794

თარიღი : 14.09.2026

გაცემის თარიღი : 21.09.2026

გაცნობის თარიღი : 21.09.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისისმუნიციპალიტეტისარქიტექტურისსამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 14 სექტემბრის №AR11160794 განცხადებით მომართა კირილე მორჩილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 26

თებერვლის №7824067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებით შეთანხმდა №01.18.13.037.233 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებისთანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაშიდაშვებულია ტექნიკური შეცდომა მშენებლობის ეტაპების ნუმერაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანების მე-4 პუნქტში მშენებლობის ეტაპების ნუმერაცია განსაზღვრულია არასწორად. კერძოდ, ბრძანების მესამე გვერდზე '' 8 '' ნომრით განსაზღვრული მშენებლობის ეტაპები მეორდება ორჯერ(ხდება ნომრის დუბლირება). ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ მშენებლობის ეტაპები დანარჩენ ნაწილში, შეესაბამება 2025 წლის 21ოქტომბრის №AR11113958 განცხადებაზე წარმოდგენილ მშენებლობის ორგანიზების პროექტში მითითებულ მშენებლობის ეტაპებს.
საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდანგამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდესტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანების მე-4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ 4. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1) მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება-შემოღობვა).
2) გრუნტის ცვლილების სამუშაოები;
3) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
4) გაზსადენი მილის გადატანის სამუშაოები; შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები;
შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
5) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;
6) შენობა-ნაგებობის მიწისპირი ნიშნულიდან პირველი სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
7) შენობა-ნაგებობის მეორე და მესამე სართულის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
8) შენობა-ნაგებობის მეოთხე და მეხუთე სართულის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
9) შენობა-ნაგებობის მეექვსე და მეშვიდე სართულის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
10) შენობა-ნაგებობის მერვე და მეცხრე სართულის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
11) შენობა-ნაგებობის მეათე და მეთერთმეტე სართულის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;
12) შენობა-ნაგებობის სახურავის სართულის და გადახურვის მოწყობა. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
13) შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა;
14) შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა.“

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 26 თებერვლის №7824067 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილიწესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.